სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები და შედეგები

❖ ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს შედარებით მარტივად შეძლონ სწავლი საფასურის გადახდა. 2012 წლიდან უნივერსიტეტში დაწესებულია ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების წესი სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარად დახმარების დაწესების შესახებ დებულება, რომლითაც განისაზღვრება ფინანსური დახმარების წესი, სტუდენტთა კატეგორიები, დაფინანსების ოდენობა და დანიშვნის პროცედურები (იხ. დანართი 1). ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარად დახმარების მიღების უფლება აქვს შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს, მხოლოდ მათი პირადი განცხადების საფუძველზე:

ა) სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის შვილი - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 5 %-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 7 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 2750 ლარი;

ბ) სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული პირი - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 25%-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 542 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 116 579 ლარი;

გ) სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 15 % -სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 371 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 78 516,6 ლარი;

დ) სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (უდედმამო) - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 5%-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 35 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 13 489 ლარი;

ე) სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ის - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 25%-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 754 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 122 297 ლარი;

ვ) სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებებით და საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას- ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არანაკლებ 5%-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 52 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 12 717 ლარი;

ზ) სტუდენტს, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი შვილი - ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 5%-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 14 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 6 284,5 ლარი;

თ) სტუდენტურ ოჯახს , როცა მეუღლეები არიან აწსუ-ს სტუდენტები- ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების მთლიანი თანხის არაუმეტეს 5 %-სა,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 123 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 30414,3 ლარი;

ი) ამ დებულების შესაბამისად რექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა პირები,

2011-2017 წლის ჩათვლით აღნიშნული კატეგორიით ისარგებლა 58 სტუდენტმა, რომელთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 13 838 ლარი;

2011-2017 წლების ფარგლებში განხორციელებული ფინანსური ვალდებულების დასაფარად ჯამურმა თანხამ შეადგინა 395 787,4 ლარი, ხოლო სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 1741 (იხ. დანართი 2).

❖ კიდევ ერთ, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტად გვევლინება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული, ზემოთ განხილულის ანალოგიური სერვისი. ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების საფუძველია სტუდენტის განცხადება, რომელიც განიხილება სპეციალურად დაკომპლექტებული კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობაში შედიან წინა სემესტრში დაფინანსებული სტუდენტების ერთიანი სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 5 სტუდენტი. სწავლის ქირის დასაფარად დაფინანსება ხორციელდება სემესტრულად და მოიცავს შემდეგი სახის კრიტერიუმებს:

ა) სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველტა ერთიან ბაზაში;

ბ) სტუდნტი ცოლ-ქმარი ან დედმამიშვილები, რომლებიც სწავლობენ აწსუ-ში;

გ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირი;

დ) დედით ან მამით ობოლი.

სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარად დახმარების ჯამური ოდენობა 2012-2017 სამეურნეო წლების ფარგლებში შეადგინა 186 967 ლარი, რომლითაც ისარგებლა 1 108 სტუდენტმა და ყოველ წელს, როგორც დაფინანსებული სტუდენტების, ასევე დაფინანსების ოდენობა არის მზარდი (იხ. დანართი 3).

❖ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, სტუდენტებს რომლებიც არიან რეგიონიდან, ამასთანავე რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაუფინანსდებათ საცხოვრებელი ფართი ერთი წლის განმავლობაში (იხ დანართი 4). სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებს ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილნი იყვნენ საცხოვრებელი ფართით. აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს 2016 წლიდან და პირველ ეტაპზე მონაწილე სტუდენტთა რაოდენობამ შეადგინა 7, ხოლო 2017 წელს 6 სტუდენტი იქნა უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით.